PX 4390/1
5cm
2/1700

© გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგი", 2007

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფლირტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფლირტი ყველასთვის კარგად ნაცნობი თამაშია, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენი ბებიები და ბაბუები თამაშობდნენ. ძალიან მოკლედ შეგახსენებთ თამაშის წესებს:

ბანქო რიგდება მთლიანად, მოთამაშეთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ბანქოზე მოცემულია ათი ყვავილის დასახელება და მათ გასწვრივ ფრაზები, რომლითაც ნებისმიერ მოთამაშეს შეგიძლიათ მიმართოთ.

ფრაზები სხვადასხვა შინაარსისაა. თქვენ სურვილისამებრ ირჩევთ ადრესატს, გადასცემთ ბანქოს და ეუბნებით იმ ყვავილის სახელს, რომლის გასწვრივ მოცემული ფრაზითაც გსურთ მას მიმართოთ. ადრესატი იგივე მეთოდით, გპასუხობთ ან უპასუხოდ გტოვებთ. ამის შემდეგ, მოთამაშესთან ფლირტს გააგრძელებთ, თუ აირჩევთ ახალ ადრესატს, თქვენზეა დამოკიდებული.

გახსოვდეთ, რომ მოთამაშე, რომელიც ყველა ბანქოს გასცემს და უპასუხოდ დარჩება, თამაშს გაეთიშება.

გისურვებთ წარმატებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეის ავტორები: ნინო ქადაგიძე, მაია სუმბაძე
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორქიდეა** ოპტიმისტი ვარ, ყოველთვის ასე მგონია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება, რაოდენ ჩქარაც არ უნდა დასრულდეს იგი...

**ყაყაჩო** იყავით ის რაც ხართ, გამოამჟღავნეთ თქვენი გრძნობები!

**გარდენია** მე ვეჭვიანობ!

**იელი** ეგ არ არის თქვენი საქმე!

**ზამბახი** ბერძნები ასე ფიქრობდნენ, რომ ქალს სული არ აქვს. ვეთანხმები, თუმცა თქვენ რომ დაგინახეთ, ამაში დავეჭვდი. ძალიან სპეტაკი ხართ, თუმცა ძალიან ავხორციც.

**აკაცია** შთაბეჭდილების ქვეშ ვარ!

**ასკილი** ჯერ არ გადამიწყვიტავს. დრო მჭირდება...

**ვარდი** თვალები არასდროს სტყუიან...

**მიხაკი** გვიყდები ინტელექტუალებზე, თუ გიყვართ ენის ფხანა, მომმართეთ!

**გვირილა** შეიძლება რამის შეცვლა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახელი
შოკოლადელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კამელია** არ შემიძლია თქვენს გარეშე სიცოცხლე! მაკოცეთ...

**ასკილი** ოო, მშვენიერო ყვავილო, შეგიძლიათ სიყვარული?

**ენძელა** როგორ გამახარეთ...

**ტიტა** მე ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი!

**გვირილა** თანახმა ვარ! მე თქვენ გნებდებით!

**იელი** თქვენ ზედმეტად თავმოყვარე ხართ!

**ვარდი** ჩუმად მიყვარხართ, ამას ვერავინ გაიგებს!

**ია** რატომ?

**აკაცია** თავიდან ხომ არ გვეცადა?

**შროშანი** თქვენი არსებობა უკვე დიდი შვებაა ჩემთვის!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახელი
[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იელი** თქვენი დაუფლების სურვილი მკლავს!

**ზიზილა** მომეცით ნება, რომ სიამოვნება მოგანიჭოთ.

**კამელია** თუ ყურადღებას არ მომაქცევთ, ვერასდროს მნახავთ.

**ანემონი** ჩემს გვერდით მჯდომში ხომ არ გეშლებით?

**აკაცია** რა სამწუხაროა, მე თქვენში მწარედ ვცდებოდი.

**ვარდი** თანახმა ვარ, თუნდაც ახლავე...

**ზამბახი** ჩემთან ერთი ხართ, სხვასთან სხვა. ის რაც ჩემია, ჩემთან დარჩება და არასდროს განმეორდება.

**ნარგიზი** თქვენი სიყვარული მე ტკივილს მაყენებს. მშვიდობით.

**ყაყაჩო** ცალმხრივ სიყვარულს ვერ შევეგუები.

**პეტუნია** მგონი თქვენ სხვა მოგწონთ, აღარ შეგაწუხებთ.



ელექტრონული ბიბლიოთეკა



ცხელი შოკოლადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კამელია** ჩემს ოცნებებში თქვენ შიშველი ხართ.

**იასამანი** თქვენს ღალატს ვერ ავიტან. პირობა უნდა მომცეთ.

**ორქიდეა** თქვენი აქ ყოფნა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**ზამბახი** მიხარია, რომ ასე ფიქრობთ.

**ტიტა** აქ მოსვლამდე სწორედ თქვენზე ვფიქრობდი.

**იელი** მგონი ეს მხოლოდ გატაცებაა.

**ზიზილა** იქნებ სხვა დროს ვცადოთ.

**კალა** ჩვენი განშორების შემდეგ სულ თქვენზე ვფიქრობ. ნუთუ თქვენ სულ არ გენატრებით?

**პეტუნია** მხოლოდ ერთი სიტყვა – მიყვარხართ!

**ია** თქვენ მგონი მეთამაშებით, მე კი ცეცხლი მიკიდია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალი
გამოცემელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კამელია** ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა.

**ია** თქვენი გაცნობის დღიდან მოსვენება დავკარგე.

**მიხაკი** თქვენ მხოლოდ ხვალ მიხვდებით, რა კარგი იყო დღეს.

**ვარდი** უარს ვერ მივიღებ, უნდა დამნებდეთ.

**ნარგიზი** თქვენზე ბევრი რამ შევიტყვე, მაგრამ ბევრი საიდუმლო რჩება. რას მიმალავთ?

**ყაყაჩო** სად მე, სად თქვენ?

**პეტუნია** ჩემი გულის დაპყრობა ასე მალე არ გამოგივათ.

**ორქიდეა** თქვენ გულგრილს არავის ტოვებთ. კარგად დაფიქრდით სანამ არჩევანს გააკეთებთ.

**ზამბახი** მგონი დროა ჩვენ ორს შორის არჩევანი გავაკეთოთ.

**ტიტა** მშვიდობით!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხელი
ზოქორაველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ია** როგორ გავხდე თქვენი ყურადღების ღირსი?

**აკაცია** გამოდის, რომ თქვენი გული სხვას ეკუთვნის. რა სამწუხაროა...

**ნარგიზი** თქვენ სახიფათო თამაშს თამაშობთ.

**ყაყაჩო** სხვებზე დროს ნუ კარგავთ. მიპასუხეთ.

**პეტუნია** თქვენ არასწორი არჩევანი გააკეთეთ. რას ვიზამთ? თქვენს შეცდომებს მალე მიხვდებით.

**იასამანი** მსურს უკეთ გაგიცნოთ. ხომ არ შევხვდეთ?

**ორქიდეა** სიყვარული და ცივი გონება ერთად არ არსებობს.

**ტიტა** თქვენ მე გამათამაშეთ. ჩემი ფიქრები სულ უფრო შორს მიდის...

**იელი** აქ მხოლოდ თქვენ გხედავთ, სხვები ჩემთვის არ არსებობენ.

**ზიზილა** თქვენი სილამაზე მაჯადოებს, ღამით ჩემს სიზმრებს ასაზრდოებს.





სახელი
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ასკილი** გულს მიტეხავთ!

**ვარდი** ომის დაწყებას არ გირჩევთ. ეს სავალალოდ დასრულდება თქვენთვის.

**აკაცია** შეიძლება თქვენი მჯეროდეს?

**გარდენია** თქვენ დიდსულოვანი და კეთილი ხართ ჩემს მიმართ.

**გვირილა** მე ყოველდღე ვფიქრობ თქვენზე! მოდი სამუდამოდ ვიმეგობროთ!

**შროშანი** შევუდგეთ საქმეს ახლავე, მერე რა, რომ ხალხი გვიყურებს. ამაში ხომ თავისებური ინტრიგაა?

**ყაყაჩო** მე გამუდმებით გხედავთ სიზმრებში! თქვენ სასწაული ხართ!

**პეტუნია** დარწმუნებული ხართ თქვენს თავში?

**ია** მე კი მჯერა, რომ სიყვარული არსებობს. ალბათ შტერი ვარ...

**ტიტა** პაემანი ხომ არ დაგვენიშნა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასტრი
მოქორცლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ია** იცით რა მარტოსული ვარ, იქნებ თქვენ გამითბოთ გული.

**ვარდი** უკვე გვიანია!

**ანემონი** ან ახლა ან არასრდოს, მე ცდა არ მიყვარს.

**მიხაკი** თქვენმა უმწიკვლობამ დალი დამასვა, მგონი შევიშალე.

**შროშანი** ვერ შეგპირდებით მარადიულობას, თუმცა ძლიერ მინდიხართ.

**ნარგიზი** თვალი ოხერია, ვნება ძლიერი, უთქვენობა შეუძლებელია, იქნებ გვეცადა?

**კამელია** ბუნებით რომანტიკოსი ვარ, მათრახი და ბორიკილი არ მიყვარს.

**ყაყაჩო** მიზიდავთ, თუმცა თქვენი მეშინია, იქნებით გამგები?

**ენძელა** პატარა ტბა, ტბის პირას სახლი და თქვენ – ამ სახლის დიასახლისი. მე კი თქვენი მშვენიერი ორანჟერეის მებაღეობაზეც ყაბულს ვიქნებოდი.

**ტიტა** მე მგონი ამის საბაბი თქვენთვის არ მომიცია...



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხალი
გოქოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **ზამბახი** | რა სისულელეა. მძულს ასეთი მდაბიო რომანტიზმი. |
| **აკაცია** | ანგელოზს გავხართ, შიგნით რა ხდება კაცმა არ იცის. ვცადო? |
| **ტიტა** | შეიცან საკუთარი თავი და მიხვდები, როგორი პარტნიორი გჭირდება. |
| **ასკილი** | თქვენ სწორედ ისა ხართ, ვისაც ამდენი ხანი ვეძებდი. |
| **კამელია** | უშეცდომო არავინაა. უნდა მაპატიოთ. |
| **ია** | ჩემთვის სულიერი ინტიმი სქესობრივზე მეტია. |
| **გვირილა** | რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია. |
| **შროშანი** | დამიბრუნეთ იმედი, გულგატეხილი ვარ. |
| **ანემონი** | არასდროს ვაკეთებ იმას, რაც სხვებს უნდათ, გინდათ მაინც ვცადოთ? |
| **იელი** | ვარ ეგოისტი, თქვენი სიამაყე კი მაფიქრებს. |



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხელი
შოკოლადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვარდი** გენატრებით?

**იელი** თქვენ მშვენიერი მეგობარი ხართ, მაგრამ ჩვენ შორის არაფერი მოხდება!

**ენძელა** იმიტომ...

**გვირილა** მოდი გავრისკოთ და ვცადოთ. რას იტყვით?

**ტიტა** სამწუხაროა, მაგრამ ჩემი გული დაკავებულია.

**ზამბახი** რა მნიშვნელობა აქვს, გყავთ თუ არა მეორე ნახევარი. ყოველთვის შეიძლება იშოვო მესამე. სამკუთხედი დახვეწილი ფიგურაა . . .

**შროშანი** არასდროს მეგონა, თუ ასეთი სულელი იქნებოდით!

**მიხაკი** ეტყობა, ამისთვის ჯერ არ ხართ მზად.

**ნარგიზი** დღეს საოცრად გამოიყურებით!

**კამელია** მე ყოველთვის თქვენი ერთგული დავრჩები! მაგრამ თქვენი იმედი არ მაქვს, სამწუხაროდ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვილი
ყოჩივარდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ორქიდეა** სულიერი ალმაფრენისთვის რომანტიული გარემო მჭირდება, სადაც ვნებებს მივეცემით.

**პეტუნია** ვეჭვობ რამე გამოგვივიდეს. არც ეცადოთ, მძულხართ.

**ტიტა** ყველაფერი სახეზე განერიათ. ასეთი დაუფარავი ვნება მაშინებს. რა ვულგარულობაა!

**ასკილი** ცოტა არ იყოს ვღელავ, ოღონდ ეს ის ღელვა არ არის, რაც თქვენ გგონიათ. ავად ვარ თუ გავგიჟდი?

**აკაცია** ბევრი ვეცადე და ვერ გავერკვიე. მგონი თავად არ იცით, რა გინდათ.

**ენძელა** მე მინდა, თქვენ ჩემი აუხდენელი ოცნება გახდეთ.

**ანემონი** არასოდეს ვცდები, ზუსტად ვიცი,
რაც გინდათ და სწორედ ის მინდა მეც.

**ვარდი** ადამიანებში კარგად ვერკვევი. ყველას ერთი რამ უნდა - სიყვარული.

**მიხაკი** საყვარელო, დრო კი მიდის...

**იელი** გავერთოთ?



ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვილი
ყოჩივარდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **აკაცია** | დამემგზავრეთ მოგონებათა სამყაროში, ასე უკეთ გამიცნობთ. |
| **ანემონი** | მატერიალისტი ბრძნადებით, მე კი სულიერებას ვეძებდი თქვენში, მომშორდით. |
| **ყაყაჩო** | უმოწყალოდ მექცევით, მე კი თავი თქვენ მოგიძღვენით. |
| **პეტუნია** | თქვენთან სასაუბროდ არ მცალია, ვნებები მაცხოველებს. |
| **კამელია** | მოგვიანებით შემეხმიანეთ. |
| **ზამბახი** | თქვენთან საარშიყოდ განწყობაც შესაბამისი მჭირდება. |
| **ტიტა** | თქვენს თვალებში სურვილის ნაპერწკალს ვამჩნევ. |
| **ზიზილა** | თავისუფლად, მოეშვით, ეს ხომ ახალი რომანის დასაწყისია! |
| **ია** | გამოტყდით ბოლოს და ბოლოს! |
| **ასკილი** | შებოჭილი ხართ, თქვენს სიტყვებს ემოცია აკლია. |



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კალა** როცა მარტო ვრჩები, საკმარისია გავიხსენო თუნდაც თქვენი თმის სურნელი, რომ მაშინვე უკიდეგანო მონატრება მიპყრობს. ნუ წახვალთ ჩემგან...

**გარდენია** ყალბი, გაიძვერა და მდაბიო ხართ.

**იელი** მიმზირეთ თვალებში, თუ გინდათ რომ დაგიჯეროთ.

**ვარდი** ნუთუ ასე მარტივად დასრულდა ყველაფერი? თამაშის ჟინი მკლავს...

**ანემონი** იუმორის გრძნობა არ გაქვთ, თქვენთან ურთიერთობა ძალიან მოსაწყენია.

**ნარგიზი** მე დავბრუნდები!

**ყაყაჩო** მე თქვენ ძალიან მომწონხართ!

**კამელია** თქვენი შემოთავაზება განხილვის ღირსია. ვნახოთ...

**ზამბახი** ხომ არ განვმარტოვდეთ?

**ორქიდეა** მე მზად ვარ ყველა თქვენი სურვილი და ახირება შევასრულო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

**იელი** მე თქვენ მიყვარხართ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ერთად ყოფნა.

**ანემონი** მე თქვენ გტოვებთ! თქვენ მე იმედები გამიცრუეთ.

**ვარდი** თქვენ ისეთი უკარება ხართ!

**გარდენია** ოო, ჩემო ფარულო სიყვარულო! მე ბედნიერი ვარ! შეიძლება იმედი მქონდეს?

**ზამბახი** მიიღეთ ჩემი კომპლიმენტები, ჩემო უშიშარო ქმნილებავ!

**ია** თქვენთან მეგობრობა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

**შროშანი** თქვენ სპეტაკი და უმნიკვლო ხართ.

**ყაყაჩო** მე აღფრთოვანებული ვარ თქვენთან ყოფნით!

**ნარგიზი** შემიყვარეთ, გაიზიარეთ ჩემი გრძნობები! და დარჩით ისეთივე მშვენიერი, როგორიც ხართ!

**იასამანი** მომიტევეთ ჩემი სითამამე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტყის
ქარქვავილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ორქიდეა** თქვენ საყვარელი, ლამაზი და დახვეწილი ხართ. თქვენ – ულამაზესი ხართ!

**ია** ხომ არ გაგიჟდით? რას მკადრებთ?

**ტიტა** მე ვერ ვბედავ თქვენთან მოახლოებას!

**პეტუნია** თქვენი არსებობა მაწყნარებს. მაჩუქეთ ჩვენი სიყვარულის სამახსოვროდ რაიმე საჩუქარი!

**შროშანი** მარტოობა მიყვარს, უთქვენოდაც მშვენივრად ვგრძნობ თავს!

**ვარდი** მე თქვენ მიყვარხართ! პირველი გამოხედვიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

**იასამანი** მშვიდობით! წარმატებებს გისურვებთ! თქვენმა ექვიანობამ გაანადგურა ჩვენი სიყვარული.

**აკაცია** გრძნობები ბობოქრობენ ჩემს გულში.

**კამელია** იყავით თამამი! ძალიან მინდიხართ!

**ზიზილა** ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი!
მე არასდროს გაგიმხელთ
ჩემს გრძნობებს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასკილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პეტუნია** თვალებს რატომ ხრით, გრცხვენიათ?

**კალა** კომპლიმენტის თქმა არასდროს გამომდის, მაგრამ თქვენ ანგელოზს გავხართ.

**ზიზილა** არ მეგონა, ასეთი სასტიკი თუ იქნებოდით, აღარ მჭირდებით.

**ია** გული არ გქონიათ... დღეიდან ჩემთვის აღარ არსებობთ!

**ორქიდეა** გგონიათ, მაცდუნებთ? არაფერი გამოგივათ. მე სხვა მიყვარს.

**ყაყაჩო** როცა აქედან გახვალთ, გულის ჯიბე მოისინჯეთ და... დამირეკეთ... გელით...

**ენძელა** თქვენ ზუსტად ის ხართ, ვისთან ერთადაც სიცოცხლის ბოლომდე ვიცხოვრებდი.

**ტიტა** მარტივი და უშინაარსო ბრძანდებით.

**ნარგიზი** არ მიზიდავს თქვენი პერსონა, იქნებ სხვასთან გეცადათ ბედი.

**კამელია** რას მივაწერო თქვენი გულგრილობა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალი
მოქალაქე